არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

ყაზახურ-ქართული ეკონომიკური გაერთიანება

წ ე ს დ ე ბ ა

2021

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. ყაზახურ-ქართული ეკონომიკური გაერთიანება წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირს, რომელიც წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისას მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, სხვა საკანონმდებლო აქტების, წინამდებარე წესდებისა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

1.2. იურიდიული პირის სრული სახელწოდებაა:

- ქართულად: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ყაზახურ-ქართული ეკონომიკური გაერთიანება“** (შემდგომში - გაერთიანება);
- ინგლისურად: Non-Profit Legal Entity „Kazakh-Georgian Economic Union“;
- რუსულად: непредпринимательское (некоммерческое) юридическое лицо „Казахстанско-Грузинское экономическое объединение“

1.3. გაერთიანება იურიდიული პირის სტატუსს იძენს მისი სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან.

1.4. გაერთიანებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, განკერძოებული ქონება, საანგარიშსწორებო და სხვა სახის ანგარიშები (მათ შორის სავალუტო) საბანკო დაწესებულებებში.

1.5. გაერთიანებას უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით დააფუძნოს ფილიალები (წარმომადგენლობები), სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირები, აგრეთვე განახორციელოს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა.

1.6. გაერთიანება დამოუკიდებელია თავისი დამფუძნებლების, ასევე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების მდგომარეობისაგან და პასუხს არ აგებს მათი ვალდებულებებისათვის ისევე, როგორც ისინი არ აგებენ პასუხს გაერთიანების ვალდებულებებისათვის. გაერთიანების პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ მისი ქონებით.

1.7. გაერთიანებას უფლება აქვს იყოს მხარე გარიგებაში, იკისროს ვალდებულებები, შეუძლია იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში.

1.8. გაერთიანება იქმნება განუსაზღვრელი ვადით და მისი საქმიანობა ხორციელდება, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

1.9. გაერთიანების იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 70ბ, სადარბაზო 1, სართული 1

1.10. გაერთიანების ელექტრონული ფოსტის მისამართია: info@kaz.ge

მუხლი 2. გაერთიანების მისია, მიზნები და საქმიანობა

2.1. ყაზახურ-ქართული ეკონომიკური გაერთიანების მისიაა საქართველოსა და ყაზახეთში ეკონომიკური ზრდის და ჯანსაღი, კონკურენტული ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო, ეკონომიკური და კულტურული კავშირების გაღრმავების გზით.

2.2. გაერთიანების მიზნებია:

2.2.1. საქართველოსა და ყაზახეთს შორის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების გაღრმავება;

2.2.2. წევრი ორგანიზაციების ინტერესების დაცვა საქართველოსა და ყაზახეთში, მათი საქმიანობის პოზიტიური შედეგების მიღწევასა და განვითარებაში ხელშეწყობა;

2.2.3. კონკრეტული ინდუსტრიული ჯგუფების სპეციალურ საჭიროებებზე ზრუნვა - მათი ინტერესების ადვოკატირება სახელმწიფოსთან, სხვადასხვა ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობა, წევრების დაკავშირება ლოკალურ და საერთაშორისო კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედიასთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და მთავრობასთან, მათი ურთიერთ თანამშრომლობის გაღრმავების ხელშეწყობა;

2.2.4. ორგანიზაციების თანამშრომლობის კოორდინაცია, წევრი ორგანიზაციების დახმარება ვაჭრობისა და ბაზარზე შესვლის ბარიერების დაძლევაში, ინვესტიციებისა და პარტნიორი ორგანიზაციების/პირების მოძიებასა და სხვადასხვა ბიზნეს საკითხების გადაწყვეტაში, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობისას.

2.2.5. აქტიური თანამშრომლობა პარტნიორ ქვეყნებთან და დაინტერესებულ მხარეებთან კულტურული ურთიერთობების გაღრმავების მიზნით.

2.3. საწესდებო მიზნების მისაღწევად გაერთიანება ახორციელებს საქმიანობას შემდეგი მიმართულებით:

2.3.1. **საქმიანი კავშირების განვითარება** - ღონისძიებებისა და კონფერენციების ორგანიზება, წევრი ორგანიზაციების აქტიური ჩართვა, როგორც ფორმალურ და სამუშაო, ასევე არაფორმალურ გარემოში მათი ურთიერთობების განვითარებისთვის; წევრთა დაკავშირება ორი ქვეყნის ბიზნეს, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან. რეგულარული კავშირი და ურთიერთობა საქართველოსა და ყაზახეთში წარმოდგენილ ინვესტორებთან და სავაჭრო პარტნიორებთან, აუცილებლობის შემთხვევაში სათანადო შეხვედრების ორგანიზება.

2.3.2. **წევრი ორგანიზაციების ინტერესების დაცვა** - საქართველოსა და ყაზახეთში ორგანიზაციის წევრების ინტერესების დაცვა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან აქტიური თანამშრომლობის გზით; კონკრეტულ საკანონმდებლო საკითხებზე აქტიური მუშაობა, ინიციატივებისა და პროგრამების შემუშავება და წარდგენა სახელმწიფო სექტორთან.

2.3.3. **ქვეყნებისა და ორგანიზაციების პოზიციონირება** - ყაზახური ორგანიზაციების და მათი საქმიანობის პოზიტიური იმიჯის შექმნა საქართველოში და პირიქით. ორივე ქვეყნის საზოგადოებისთვის ყაზახეთისა და საქართველოს კულტურისა და ტრადიციების გაცნობა, კულტურული და საზოგადოებრივი კავშირების გაძლიერება. წევრი ორგანიზაციებისთვის საორიენტაციო შეხვედრების, გამოფენების, სოციალურ/ კულტურული ღონისძიებების, ბიზნეს ორგანიზაციების დაჯილდოებებისა და მრგვალი მაგიდის შეხვედრების ორგანიზება. ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სოციალური ქსელების გვერდებსა და ბეჭდურ მედიაში წევრი ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ სტატიის ან რეკლამის განთავსება. სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების შეთავაზება გაერთიანების მიერ გამართულ ღონისძიებებსა და აქტივობებზე (ბანერები, ფლაერები და ა.შ), რომლის საშუალებითაც წევრები შეძლებენ ყაზახური ორგანიზაციების და მათი საქმიანობის შესახებ პოზიტიური იმიჯის შექმნას საქართველოში და პირიქით.

2.3.4. **ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა** - განვითარებისა და ინვესტირების შესაძლებლობების უწყვეტი ძიების, ეკონომიკური ურთიერთობების ბარიერების გადალახვაში დახმარებისა და განვითარებაში ხელშეწყობის გზით.

2.4. დასახული ამოცანების შესასრულებლად გაერთიანება უზრუნველყოფს:

2.4.1. კონკურენტუნარიანი და სტაბილური საინვესტიციო გარემოს ფორმირების მიზნით კვლევითი, კომერციული, საინვესტიციო და სხვა სახის პროექტების განხორციელებას;

2.4.2. პოტენციური ინვესტორებისთვის შესაბამისი ეკონომიკური ინფორმაციის მოძიება-მოპოვებას, ასევე საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის ხელშეწყობას;

2.4.3. ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე სახელმწიფოებს შორის დარგობრივი თანამშრომლობის საკითხებზე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას;

2.4.4. ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისთვის აუცილებელი ინსტიტუციური, ადმინისტრაციული რეფორმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების პროექტების ინიცირებას;

2.4.5. სხვადასხვა სახელმწიფო, მუნიციპალურ სტრუქტურებსა და ბიზნესს შორის კოორდინაციის გაძლიერების ხელშეწყობას;

2.4.6. ინფორმაციული ბანკის შექმნა/ სრულყოფა და დაინტერესებული სეგმენტისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;

2.4.7. სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებში გაერთიანების წევრი კომპანიების საერთო და ინდივიდუალური ინტერესების დაცვას როგორც საქართველოსა და ყაზახეთში, ასევე მათ ფარგლებს გარეთ;

2.4.8. საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების გამართვას და საქმიან წრეთა შეხვედრების ორგანიზებას;

2.4.9. გაერთიანების წევრებისთვის საინფორმაციო-საკონსულტაციო და სხვა სახის მომსახურების გაწევას;

2.4.10. ეკონომიკური და სოციალური პროექტების განხორციელებას გაერთიანების წევრი კომპანიების ცნობადობის და მათი საქმიანობის განვითარების მიზნით;

2.4.11. სახელმწიფო და კერძო სექტორთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მასმედიასთან მჭიდრო თანამშრომლობას

2.5. გაერთიანება ახორციელებს სხვა ნებისმიერი სახის საქმიანობას, რომელიც აკრძალული არ არის მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის საქველმოქმედო და/ან დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც არ ცვლის მისი, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხასიათს და მიმართულია ორგანიზაციის განვითარებისა და მისი მიზნების განსახორციელებლად.

მუხლი 3. გაერთიანების დამფუძნებლები

3.1. გაერთიანების დამფუძნებლები არიან:

(1) **სს „ხალიკ-ბანკი საქართველო“** (ს/კ 205236537);

(2) **შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“**(ს/კ 245432544);

(3) **შპს „ესარჯი რიალ ისთეითი“** (ს/კ 404535240);

(4) **შპს „კაპიტოლ მენეჯმენტი“** (ს/კ 405032717);

(5) **შპს "ჯი ქეი ლოჯისტიკს"** (ს/კ 405301025).

3.2. **დამფუძნებლები ამავდროულად არიან გაერთიანების ნამდვილი წევრები და მათზე თანაბრად ვრცელდება ამ კატეგორიის წევრებისთვის წინამდებარე წესდებით დადგენილი უფლება-მოვალეობები.**

მუხლი 4. გაერთიანების წევრობა

4.1. გაერთიანების წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი ორგანიზაცია, როგორც კერძო, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ფიზიკური პირი და არასამთავრობო ორგანიზაცია, ქართული და უცხოური კომპანია ან

ნებისმიერი სახის სამეწარმეო სუბიექტი, რომელიც მონაწილეობს ბიზნეს და კულტურულ საქმიანობაში, ნაწილობრივ ან მთლიანად ახორციელებს საქმიანობას საქართველოსა და/ან ყაზახეთში, იზიარებს გაერთიანების მიზნებს და ფასეულობებს.

4.2. გაერთიანებას წევრები იყოფა სამ კატეგორიად:

(1) ნამდვილი წევრი - სრულუფლებიანი წევრები, რომლებსაც აქვთ წევრთა საერთო კრებაზე ხმის უფლება, იხდიან გაერთიანების გამგეობის მიერ ამ კატეგორიის წევრებისთვის დადგენილ საწევრო შენატანს და სარგებლობენ ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული სრული მომსახურების პაკეტით.

(2) ასოცირებული წევრი - წევრები, რომლებსაც არ გააჩნიათ საერთო კრებაზე ხმის უფლება, სარგებლობენ ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული სერვისებით და იხდიან გაერთიანების გამგეობის მიერ ასოცირებული წევრებისთვის დადგენილ საწევრო შენატანს.

(3) საპატიო წევრი - წევრები, რომლებიც მოწვეულნი არიან გაერთიანების მიერ ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე, დასახული ამოცანების განხორციელებაში დახმარების მიზნით. საპატიო წევრს არ გააჩნია ხმის უფლება და არ იხდის საწევრო გადასახადს, საჭიროებისამებრ სარგებლობს ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული სერვისებით.

4.3. გაერთიანების ნამდვილი ან ასოცირებული წევრობის მსურველი დადგენილი ფორმით ავსებს განცხადებას, რომელსაც განათავსებს ორგანიზაციის ვებ-გვერდზე ან აგზავნის ელ.ფოსტის მეშვეობით.

4.4. განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს ერთი (1) თვისა გაერთიანების გამგეობა იღებს გადაწყვეტილებას განმცხადებლის წევრად მიღების ან წევრად მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

4.5. წევრი იურიდიული პირები გაერთიანების წესდებით მინიჭებულ უფლებამოსილებებს ახორციელებენ ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების ან მათ მიერ სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი წარმომადგენლების მეშვეობით.

4.6. გაერთიანების წევრი უფლებამოსილია:

(1) ისარგებლოს გაერთიანების საინფორმაციო ბაზით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;

(2) მიიღოს გაერთიანების მიერ გაწეული მომსახურება;

(3) მოითხოვოს გაერთიანების მხარდაჭერა თავისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად;

(4) მონაწილეობა მიიღოს გაერთიანების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებაში;

(5) მმართველი ორგანოებისგან მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია გაერთიანების საქმიანობის შესახებ;

(6) მმართველ ორგანოებს წარუდგინოს წინადადებები და რეკომენდაციები გაერთიანების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

4.7. მხოლოდ გაერთიანების ნამდვილ წევრს გააჩნია წევრთა საერთო კრებაზე ხმის მიცემის და გაერთიანების მმართველობის ორგანოების არჩევნებში კანდიდატების წარდგენის უფლება.

4.8. გაერთიანების წევრი ვალდებულია:

(1) დაიცვას გაერთიანების წესდება და მმართველო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

(2) გაუფრთხილდეს გაერთიანების ღირსებას და რეპუტაციას;

(3) შესაძლებლობისა და ინტერესების შესაბამისად მიიღოს მონაწილეობა გაერთიანების საქმიანობაში;

(4) გამგეობის მიერ დადგენილი წესით გადაიხადოს გაერთიანების საწევრო შენატანი.

4.9. საწევრო შენატანი

4.9.1. საწევრო შენატანის ოდენობას და შეტანის წესს ადგენს გაერთიანების გამგეობა.

4.9.2. საწევრო შენატანის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში გამგეობის გადაწყვეტილებით შეჩერდება გაერთიანების წევრობის უფლებამოსილება, წევრი ვერ ისარგებლებს საერთო კრებაზე ხმის უფლებით და გაერთიანების წესდებით განსაზღვრული სხვა უფლებებით.

4.10. წევრობის შეწყვეტა

4.10.1. გაერთიანების წევრს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გავიდეს გაერთიანებიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე.

4.10.2. გაერთიანების წევრთა საერთო კრება უფლებამოსილია გამგეობის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება წევრობის შეწყვეტის თაობაზე, თუ:

(1) წევრი არ იხდის საწევრო შენატანს;

(2) წევრი არღვევს გაერთიანების წესდებას;

(3) კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდა წევრის ლიკვიდაცია.

მუხლი 5. გაერთიანების მართვა და ხელმძღვანელობა

5.1. გაერთიანების მმართველობითი ორგანოებია:

ა) გაერთიანების წევრთა საერთო კრება;

ბ) გაერთიანების გამგეობა;

გ) გენერალური დირექტორი.

5.2. გაერთიანების მმართველი და ხელმძღვანელი ორგანოები საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებენ ურთიერთშეთანხმებით, წინამდებარე წესდებით განსაზღვრული დებულებების შესაბამისად.

მუხლი 6. გაერთიანების წევრთა საერთო კრება

6.1. გაერთიანების მართვის უმაღლესი ორგანოა გაერთიანების წევრთა საერთო კრება.

6.2. გაერთიანების წევრთა მორიგი საერთო კრება ტარდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

6.3. რიგგარეშე საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს გამგეობის თავმჯდომარის, გამგეობის წევრთა ერთ მესამედზე მეტის ან გაერთიანების წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით, კრების დღის წესრიგის მითითებით, არაუგვიანეს მოთხოვნიდან 2 თვის ვადაში.

6.4. გადაწყვეტილებას წევრთა საერთო კრების მოწვევის შესახებ იღებს გამგეობა. გამგეობა ამტკიცებს საერთო კრების დღის წესრიგს და ჩატარების თარიღს. გამგეობის გადაწყვეტილება ქვეყნდება გაერთიანების ვებ-გვერდზე და/ან საჯარო საინფორმაციო საშუალების მეშვეობით. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ გაერთიანების ყველა ნამდვილ წევრს უნდა ეცნობოს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით (წერილობით, ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით, ან სხვ.) საერთო კრების ჩატარების თარიღამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე.

6.5. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება გაერთიანების ნამდვილ წევრთა ნახევარზე მეტი.

6.6. საერთო კრებაზე დასწრება სავალდებულოა გაერთიანების ყველა წევრისათვის. გაერთიანების თითოეულ ნამდვილ წევრს აქვს ერთი ხმა. წევრებს შეუძლიათ ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით (ტელეკონფერენცია).

6.7. საერთო კრებას ხსნის და უძღვება გაერთიანების გამგეობის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე.

6.8. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე ხმათა უბრალო უმრავლესობით. გაერთიანების წესდების ცვლილებასთან, ასევე გაერთიანების რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიიღება გაერთიანების ხმის უფლების მქონე წევრთა სრული შემადგენლობის ხმების ორი მესამედით.

6.9. წევრთა საერთო კრების განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება:

(1) გაერთიანების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების და სტრატეგიის განსაზღვრა;

(2) გაერთიანების წესდების მიღება, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანა;

(3) გაერთიანების გამგეობის წევრების, მათ შორის გამგეობის თავმჯდომარის, გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის და ხაზინადარის არჩევა;

(4) ორგანიზაციის კუთვნილი ქონების განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;

(5) წევრის გაერთიანებიდან გარიცხვის შესახებ გამგეობის მიერ წარმოდგენილი წინადადების განხილვა და სათანადო გადაწყვეტილების მიღება;

(6) გაერთიანების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

6.10. წევრთა საერთო კრება უფლებამოსილია:

(1) მოითხოვის ინფორმაცია გაერთიანების საქმიანობის შესახებ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისაგან;

(2) მოისმინოს გამგეობის ანგარიში გაერთიანების მიერ გაწეული საქმიანობის და განხორციელებული პროექტების თაობაზე;

(3) ვადამდე მოუხსნას უფლებამოსილება გამგეობის წევრს, გამგეობის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და ხაზინადარს.

(4) გადაწყვიტოს გაერთიანების საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ის საკითხი, რომელიც ამ წესდებით არ განეკუთვნება გამგეობის ან გენერალური დირექტორის კომპეტენციას.

მუხლი 7. გაერთიანების გამგეობა

7.1. გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანოა გამგეობა ხუთი (5) წევრის შემადგენლობით, რომლებსაც გაერთიანების ნამდვილ წევრთაგან და/ან ნამდვილი წევრი კომპანიის წარმომადგენელთაგან და საპატიო წევრებისგან სამი (3) წლის ვადით ფარული კენჭისყრით ირჩევს საერთო კრება, დამსწრე ნამდვილი წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით.

7.2. გამგეობის საქმიანობას ხელმძღვანელობს გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც ამავდროულად არის გამგეობის წევრი. გამგეობის შემადგენლობაში შედიან აგრეთვე გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე და ხაზინადარი, რომლებიც აირჩევა 7.1 პუნქტით დადგენილი წესით.

7.3. გამგეობის წევრს არ შეიძლება ეკავოს სხვა თანამდებობა გაერთიანების მმართველობით და ხელმძღვანელ ორგანოებში.

7.4. გამგეობის სხდომები იმართება თვეში ერთხელ მაინც, ან საჭიროებისამებრ. სხდომა მოიწვევა გაერთიანების იურიდიულ მისამართზე, ან ნებისმიერ სხვა ადგილზე.

7.5. გაერთიანების მორიგი ან რიგგარეშე სხდომა მოიწვევა გამგეობის თავმჯდომარის მიერ, სხდომის თარიღამდე არანაკლებ შვიდი დღით ადრე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებული გარემოებების გათვალისწინებით, აუცილებელია გამგეობის სხდომის დაუყონებლივ ჩატარება) გამგეობის წევრებისთვის შეტყობინების მიწოდების გზით. შეტყობინება შესაძლებელია განხორციელდეს დაზღვეული წერილით, ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან ინფორმაციის გადაცემის სხვა საშუალებით. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს სხდომის ჩატარების დღე, დრო, ადგილი და დღის წესრიგი.

7.6. შეტყობინების მიღებიდან სამი დღის ვადაში გამგეობის წევრს შეუძლია მოითხოვოს ცვლილებების შეტანა დღის წესრიგში. წინააღმდეგ შემთხვევაში დღის წესრიგში ცვლილება შეიძლება შეტანილ იქნას მხოლოდ გამგეობის სხდომაზე, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით.

7.7. გამგეობის სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

7.8. იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის თავმჯდომარე არ ესწრება გამგეობის სხდომას, სხდომას უძღვება თავმჯდომარის მოადგილე.

7.9. გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. თითო წევრს აქვს თითო ხმა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება გამგეობის თავმჯდომარის ხმას.

7.10. გამგეობის გადაწყვეტილებები ფორმდება სხდომის ოქმის ან რეზოლუციის სახით, რომელსაც ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე და სავალდებულოა გაერთიანების ყველა წევრისა და ადმინისტრაციისთვის.

7.11. გამგეობის წევრებს უფლება აქვთ გადაწყვეტილება მიიღონ სხდომის მოწვევის გარეშე, თუ დღის წესრიგით განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით ყველა წევრი ერთად ან ცალ-ცალკე გამოხატავს თანხმობას წერილობით.

7.12. გამგეობის წევრი უფლებამოსილია საკუთარი ხმის უფლება გადასცეს გამგეობის სხვა წევრს სანოტარო წესით დამოწმებული სათანადო მინდობილობით.

7.13. გაერთიანების გამგეობა:

(1) იწვევს წევრთა საერთო კრებას არანაკლებ წელიწადში ერთხელ;

(2) ამტკიცებს გაერთიანების საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს, გეგმებს, მიზნობრივ პროგრამებს და პროექტებს;

(3) იღებს გადაწყვეტილებას გაერთიანების კუთვნილი სახსრების განკარგვის თაობაზე, ამტკიცებს წლიურ ბიუჯეტს; განსაზღვრავს გაერთიანების ადმინისტრაციის საშტატო განრიგს და სახელფასო ფონდს.

(4) იღებს გადაწყვეტილებას ცალკეული პროექტების დაფინანსების შესახებ და ახორციელებს დამტკიცებული პროექტის მართვის მონიტორინგს;

(5) განიხილავს და საერთო კრებას წარუდგენს წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ გენერალური დირექტორის მიერ მომზადებულ ანგარიშს;

(6) სარეკომენდაციო წერილით მიმართავს გაერთიანების იმ წევრს, რომლის საქმიანობაც ეწინააღმდეგება გაერთიანების მიზნებს ან რომელიც უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, ხოლო დარღვევის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში საერთო კრებას წარუდგენს წინადადებას წევრობის შეწყვეტის თაობაზე.

(7) წყვეტს გაერთიანების წევრად მიღებისა და წევრობის შეჩერების საკითხს;

(8) განსაზღვრავს გაერთიანების საპატიო წევრებად მისაღებ პირთა წრეს და შერჩეულ პირებს მიმართავს სათანადო მოწვევით;

(9) იღებს გადაწყვეტილებას გაერთიანების დარგობრივი კომიტეტ(ებ)ის შექმნის და გაუქმების შესახებ; განსაზღვრავს კომიტეტ(ებ)ის საქმიანობის არეალს;

(10) ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გაერთიანების გენერალურ დირექტორს, კომიტეტის თავმჯდომარე(ებ)ს და მის მოადგილე(ებ)ს.

მუხლი 8. გამგეობის თავმჯდომარე

8.1. გამგეობის თავმჯდომარე ახორციელებს გაერთიანების მართვას, ხელმძღვანელობას და წარმომადგენლობას.

8.2. გამგეობის თავმჯდომარე აირჩევა 3 (სამი) წლის ვადით წევრთა საერთო კრების მიერ ფარული კენჭისყრით, დამსწრე ნამდვილი წევრების ხმათა უმრავლესობით.

8.3. გამგეობის თავმჯდომარე:

(1) იწვევს და ხელმძღვანელობს გაერთიანების გამგეობის სხდომებს; ხელს აწერს გამგეობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს/რეზოლუციებს.

(2) პასუხისმგებელია ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების მიღწევაზე; ესწრება გაერთიანების ეგიდით გამართულ შეხვედრებას და აქტიურად მონაწილეობს გაერთიანების საქმიანობაში;

(3) გაერთიანების სახელით ხელს აწერს ორგანიზაციის ოფიციალურ დოკუმენტაციას და ხელშეკრულებებს;

(4) გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს გენერალური დირექტორის, კომიტეტ(ებ)ის თავმჯდომარის და კომიტეტ(ებ)ის თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურებს;

(5) წევრთა საერთო კრებას წარუდგენს ანგარიშს კრებებს შორის პერიოდში გაერთიანების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

8.4. გამგეობის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში გაერთიანების მართვას და ხელმძღვანელობას ახორციელებს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო გაერთიანების წარმომადგენლობას - გენერალური დირექტორი.

მუხლი 9. გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე

9.1. გამგეობის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე, რომელსაც 3 (სამი) წლის ვადით ირჩევს წევრთა საერთო ყრილობა ფარული კენჭისყრით, დამსწრე ნამდვილი წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით.

9.2. გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე:

(1) ზედამხედველობს გაერთიანების დარგობრივი კომიტეტების საქმიანობას;

(2) გამგეობის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში წარმოადგენს გაერთიანებას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ან/და სხვა მესამე პირებთან ურთიერთობაში;

(3) გამგეობის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობებს;

(4) ახორციელებს გაერთიანების წესდებით და გამგეობის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 10. ხაზინადარი

10.1. გამგეობის წევრთა შემადგენლობაში შედის ხაზინადარი, რომელსაც 3 (სამი) წლის ვადით ირჩევს წევრთა საერთო ყრილობა ფარული კენჭისყრით, დამსწრე ნამდვილი წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით.

10.2. ხაზინადარი:

(1) პასუხისმგებელია ორგანიზაციის ფინანსური საკითხების გამართულად ფუნქციონირებასა და საწევრო შენატანის გადახდების მონიტორინგზე;

(2) გამგეობის სხდომებზე ყოველკვარტლურად წარადგენს ფინანსურ ანგარიშს და გამგეობის წევრებს აწვდის ინფორმაციას ორგანიზაციის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

(3) ფინანსური შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აწვდის ინფორმაციას გამგეობას სათანადო ზომების მიღების მიზნით.

(4) საწევრო შენატანის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში გაერთიანების წევრს უგზავნის შესაბამის შეტყობინებას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ საწევრო არ იქნება გადახდილი შეტყობინების გაგზავნიდან ერთი თვის განმავლობაში, აღნიშნულ ინფორმაციას წარუდგენს გამგეობას წევრობის შეჩერების საკითხის განხილვის მიზნით.

მუხლი 11. გაერთიანების გენერალური დირექტორი

11.1. გაერთიანების მიმდინარე საქმიანობის ხელმძღვანელობას და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს გენერალური დირექტორი, რომელსაც ვაკანსიის გზით შერჩეულ კანდიდატებს შორის ფარული კენჭისყრით ირჩევს და ნიშნავს გამგეობა.

11.2. გენერალურ დირექტორს ენიჭება გაერთიანების წარმომადგენლობითი უფლებამისილება, მოქმედებს გაერთიანების სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

11.3. გენერალურ დირექტორი ხელმძღვანელობს გაერთიანების მიმდინარე საქმიანობას, პასუხისმგებელია გამგეობის გადაწყვეტილებების შესრულებაზე.

11.4. გენერალური დირექტორი:

(1) უზრუნველყოფს გამგეობის გადაწყვეტილებების შესრულებას;

(2) ადგენს ორგანიზაციის წლიურ ბიუჯეტს, გაერთიანების ადმინისტრაციის საშტატო განრიგის პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობას;

(3) მართავს და ხელმძღვანელობს ორგანიზაციის საქმიან, ფინანსურ, ინფორმაციულ, მარკეტინგულ და საკადრო პოლიტიკას;

(4) უზრუნველყოფს გაერთიანების წევრთა ურთიერთობის კოორდინაციას, მათთვის სერვისების წარდგენას და წინადადებების მიწოდებას, წევრთა ჩართულობას ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობაში;

(5) გაერთიანების სახელით აწარმოებს მოლაპარაკებებს როგორც წევრ ორგანიზაციებთან, ასევე პოტენციურ წევრებთან;

(6) გეგმავს და კოორდინაციას უწევს შეხვედრებს სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და მედიასთან.

(7) გეგმავს და ატარებს ღონისძიებებსა და ტრენინგებს;

(8) გამგეობის მიერ დამტკიცებულ პროექტებთან დაკავშირებით, ასევე მიმდინარე საჭიროების შემთხვევაში გაერთიანების სახელით დებს ხელშეკრულებებს მომსახურების შესყიდვის მიზნით;

(9) აკონტროლებს გაერთიანების ფინანსურ ანგარიშგებას, შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ატყობინებს გამგეობას და იღებს სათანადო ზომებს;

(10) გაერთიანების სახელით ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში;

(11) გამგეობის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად ნიშნავს და ათავისუფლებს გაერთიანების ადმინისტრაციის თანამშრომლებს;

(12) გამგეობას ყოველთვიურად წარუდგენს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მუხლი 12. გაერთიანების ქონება, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

12.1. კანონით დადგენილი წესით, გაერთიანების სახსრები იქმნება:

(1) საწევრო შენატანებით;

(2) იურიდიული და/ან ფიზიკური პირების შემოწირულობებით;

(3) საფინანსო ინსტიტუტებიდან მოზიდული სესხებით და გრანტებით;

(4) სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

12.2. გაერთიანებას შეუძლია საკუთრებაში ჰქონდეს უძრავ-მოძრავი ქონება, ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები

12.3. გაერთიანებას უფლება აქვს დააფუძნოს იურიდიული პრები, მათ შორის მეწარმე სუბიექტები, განახორციელოს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა, იმ პირობით, რომ მიღებული მოგება გამოიყენება მხოლოდ საწესდებო მიზნების მისაღწევად. გაერთიანების მიერ მიღებული მოგების განაწილება წევრებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის არ დაიშვება.

12.4. გაერთიანება თავის ქონებას და სახსრებს ფლობს, იყენებს და განკარგავს წესდებით დადგენილი მიზნების შესაბამისად. ქონების გასხვისება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გასხვისება ხელს უწყობს გაერთიანების ორგანიზაციულ განვითარებას, მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო საქმიანობას.

მუხლი 13. გაერთიანების წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

13.1. გაერთიანების წესდების დებულებების დაცვა სავალდებულოა წევრების და ყველა ხელმძღვანელი პირისთვის.

13.2. წესდების გადასინჯვის, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეჩერების ან გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს გაერთიანების წევრთა საერთო კრება.

მუხლი 14. გაერთიანების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

14.1. გაერთიანების რეორგანიზაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.2. გაერთიანების ლიკვიდაცია ხდება წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.3. ლიკვიდაციას ახორციელებს გამგეობის მიერ დანიშნული სალიკვიდაციო კომისია ან სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით

14.4. ლიკვიდაციის შემთხვევაში უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები. დარჩენილი ქონება და სხვა აქტივები გადაეცემა ანალოგიური ან მსგავსი საქმიანობით დაკავებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.